6300/3-30/21 2 23062021

6300/3-30/21
23-06-2021

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 26 აპრილის №95 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შესარჩევი კომისიის და ამ კომისიის აპარატის შექმნისა და მათი საქმიანობის წესის“ ასლი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გიორგი ვაშაძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

89954-08-03-2-202107151607

N 08-03/89954
15/07/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
გიორგი ვაშაძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2021 წლის 23 ივნისის №6300/3-30/21 წერილის პასუხად, გიგზავნით საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 26 აპრილის №95 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შესარჩევი კომისიის და ამ კომისიის აპარატის საქმიანობის წესის" ასლს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

MOF

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261444
ელ-ფოსტა: info@mof.ge
ვებ-გვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261444
E-mail: info@mof.ge
website: www.mof.ge

მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შესარჩევი კომისიის და ამ კომისიის აპარატის საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე წესი განსაზღვრავს მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შესარჩევი კომისიის (შემდგომში - შესარჩევი კომისია) და შესარჩევი კომისიის აპარატის (შემდგომში - აპარატი) საქმიანობის წესს.

მუხლი 2. შესარჩევი კომისიის მიზანი

1. შესარჩევი კომისიის მიზანია, „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N99 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, უზრუნველყოს საქართველოში მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევა.

2. შერჩევა გულისხმობს მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების გაწევის უფლების მისაღებად ჩატარებულ პროცესს და პროცედურებს.

მუხლი 3. შესარჩევი კომისიის კომპეტენცია

შესარჩევი კომისია:

ა) „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N99 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოში მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევას;

ბ) შეიმუშავებს შერჩევის შესახებ განცხადებას და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

გ) უზრუნველყოფს შერჩევის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებას. შერჩევის შესახებ განცხადებას უგზავნის საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს;

დ) უფლებამოსილია, შერჩევასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის პირებს/ორგანოებს და გამოითხოვოს ინფორმაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) უფლებამოსილია, მოიწვიოს ექსპერტები და კონსულტანტები;

ვ) უზრუნველყოფს პრეტენდენტის წინადადების შერჩევას, განხილვისა და შეფასებას;

ზ) ახორციელებს „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N99 დადგენილებით, ამ წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. შესარჩევი კომისიის სხდომის მოწვევა

1. შესარჩევი კომისიის სხდომები მოიწვევა პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე, შესარჩევი კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

2. შესარჩევ კომისიას ხელმძღვანელობს შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფის შემთხვევაში ან მის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში - შესარჩევი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. შესარჩევი კომისიის სხდომები დახურულია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 5. შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების მიღების წესი

1. შესარჩევი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ შესარჩევი კომისიის სხდომას ესწრება შესარჩევი კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილება მიიღება შესარჩევი კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლებით სარგებლობს მხოლოდ შესარჩევი კომისიის წევრი.

4. შესარჩევი კომისიის წევრებს არ აქვთ კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

5. შესარჩევი კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით წარადგინოს განსხვავებული აზრი, რომელიც უნდა დაერთოს შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმს.

6. შერჩევის პროცესში შესარჩევი კომისიის მიერ მოწვეული ექსპერტებისა და კონსულტანტების მონაწილეობის შემთხვევაში, შესარჩევი კომისიის ოქმს დაერთვის მათ მიერ წარდგენილი ინფორმაცია, დასკვნა ან ანგარიში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 6. შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმი

1. შესარჩევი კომისიის ყველა გადაწყვეტილება ფორმდება შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმით. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი.

2. შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს აპარატის ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 7. აპარატის კომპეტენცია

1. აპარატი უზრუნველყოფს შესარჩევი კომისიის საქმიანობის ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

2. აპარატის საქმიანობას ხელმძღვანელობს შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

შესარჩევი კომისიის წევრებისა და აპარატის წევრების მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესი და პირობები განისაზღვრება „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N99 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 9. ინფორმაციის კონფიდენციალურობის პირობები

შესარჩევი კომისიის წევრებისა და აპარატის წევრების მხრიდან ინფორმაციის გაუხმაურებლობის და კონფიდენციალურობის პირობები განისაზღვრება „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N99 დადგენილების შესაბამისად.